ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 10

## 10 მაისი 1921 წ.

ცენტრალურ საბინაო განყოფილებას მოსდის ცნობები, რომ მოქალაქენი, რომელსაც აუცილებელი საჭიროება აქვს ქალაქიდგან გასვლისა, ამას ვერ ახერხებენ და გაურბიან, რადგანაც ქალაქებში გავრცელებულია ხმები, რომ გასულებთ ბინები ჩამოერთმევათ.

ვაცხადებ მოქალაქეთა საყურადღებოთ და ცენტრალურ საბინაო განყოფილების ქვემდებარე ყველა რაიონულ საბინაო განყოფილებებთ და თანამშრომელთა სისწორით შესასრულებლათ:

1. რეკვიზიციისაგან განთავისუფლებულია ყველა იმ მოქალაქეთა ბინები, რომლებიც სამსახურისა გამო დროებით მივლინებულნი არიან საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე კუთხეში ან საზღვარ გარეთ და ქალაქ ტფილისთან სამსახურით კავშირი არ დაუკარგავთ.

2. ყველა საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურეთა და მუშების ბინები, რომლებიც დროებით სოფლათ იმყოფებიან (სათესათ, ოჯახური მდგომარეობათა გამო და სხვა ასეთი) განთავისუფლებულია რეკვიზიციისაგან.

3. იმ მუშა-მოსამსახურეთა ბინები, რომლებიც სააგარაკოთ არიან წასულნი, ან მომავალში წავლენ; მასწავლებლების, სტუდენტების და მოწაფეების მიერ დაკავებული ბინები და ოთახები ყოველ მიზეზის გარეშე მათ ენარჩუნებათ და რეკვიზიციისაგან განთავისუფლებულია.

4. ყოველი მოქალაქე, რომელიც დროებით ბინას სტოვებს ზემოთ დასახელებულ მიზეზების გამო, ვალდებულია შესაფერისი წერილობითი განცხადება შეიტანოს თავის სახლის კომიტეტში და აღნიშნოს ოთახის წევრთა რაოდენობა. როდესაც მოქალაქე სამსახურები მივლინებაში მიემგზავრება, განცხადებაში უნდა აღნიშნულ იქმნას ნომერი და თარიღი ბრძანებისა, რომლის თანხმათ ის იგზავნება მივლინებაში. ყოველი მოქალაქე ან ცენტრალ. საბინაო განყოფილების თანამშრომელი, რომელიც დაარღვევს ამ ბრძანებას და მოისურვებს ისარგებლოს შემთხვევით საპატიო მიზეზების გამო დროებით ქალაქიდან გასულების ბინის დაჭერით, დასჯილი იქმნება რევოლიუციონური დროის კანონების მიხედვით; ხოლო უკანონოთ დაკავებულ ბინიდგან დაუყონებლივ გამოსახლებული.

ცენტრალურ საბინაო კოლეგიის თავმჯდომარე ს. მევრელიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 10

**10 Мая 1921 года.**

Центральный Жилищный Отдел получает сведения, что многие граждане, которым необходимо выехать из города лишены этой возможности так как в городе распространены слухи, что у выезжающих будут реквизированы квартиры.

Настоящим для сведения всех граждан и для точного исполнения подведомственных Ц. Ж. Отдела, подотделам и сотрудникам приказываю:

1. Освободить от реквизиции квартиры всех Советских служащих по службе находящихся во временное командировке в различных частях Республики и вне ея и с городом Тифлисом по службе не потерявшим связи.

2. От реквизиций освободить квартиры рабочих и Советских служащих временно выезжающих в провинции на сельския работы, по домашним, семейным и др. обстоятельствам.

3. Квартиры Советских служащих и рабочих выехавших или в будущем выезжающих на дачи, а также квартиры учителей, студентов и учащихся выезжающих на каникулы в провинции освобождены от реквизиции.

4. Граждане, покидающие квартиры и комнаты по вышеизложенным обстоятельствам обязаны внести в свои Домкомы соответствующия письменныя заявления с указанием числа членов семьи.

*Примечание*: Командированные Советские служащие должны в заявлении указывать №№ и числа приказов по которым они назначены в командировки.

Сотрудники Центрального Жилищного Отдела, нарушившие настоящий приказ, а также граждане, желающие воспользоваться случаями оставления жильцами своих квартир, по уважительным причинам, будут привлекаемы к ответственности по законам Революционного времени.

Лица же, занявшия тякия квартиры, будут немедленно выселяться.

Председатель Центрожила *С. Мегрелишвили*.